



სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

საქმიანობის ანგარიში

2021 წელი





სააგენტოს შესახებ

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანებია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების მაღალი სტანდარტების დანერგვა ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და ღირებულების დანერგვით, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სხვა.



2021 წლის გადაყვანა-გადაზიდვები ციფრებში და საჰაერო მიმოსვლის აღდგენის დინამიკა საქართველოში


რეგულარული საჰაერო მიმოსვლის აღდგენის პირველ წელს, საქართველო 48%-ით დაუბრუნდა მგზავრთნაკადის იმ მაჩვენებლებს რაც ქონდა პანდემიამდე, 2019 წელს. გასული 2021 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტები ჯამში 2 496 448 მგზავრს მოემსახურა. 2020 წელთან შედარებით, მგზავრთნაკადი 199%-ით (1 662 602 მგზავრით) არის გაზრდილი, ხოლო 2019 წელთან შედარებით -52%-ით (2 713 018 მგზავრით) შემცირებული. შესაბამისად, 2021 წლის შეჯამებული მონაცემებით, საქართველოში მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელი 48%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2011-2019 წლებში, საქართველოში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა ყოველწლიურად დაახლოებით 24%-ით იზრდებოდა და მგზავრთნაკადის კლება მხოლოდ 2020-2021 წლებში, პანდემიის პირობებში დაფიქსირდა.

✓ **ვაშურად საქართველოს აეროპორტებიდან გადაყვანილი მგზავრები**

რეგულარული და არარეგულარული რეისებით



2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	ზრდა წინა წელთან
918781	1201441	1403538	1833807	2008171	2261006	2840455	4073959	5033323	5209505	833846	2496448	199.39%





მგზავრთნაკადის ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში. სულ ბათუმი მოემსახურა 516 017 მგზავრს. 2020 წელს, აეროპორტის მეშვეობით გადაყვანილ იქნა 51 412 მგზავრი, 2019 წელს კი 624 151 მგზავრი. შესაბამისად, 2020 წელთან შედარებით მგზავრების რაოდენობა 903%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წელთან შედარებით, მგზავრთნაკადის აღდგენის მაჩვენებელი 83%-ს შეადგენს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 1 683 696 მგზავრს მოემსახურა, რაც 185%-ით (1 093 573 მგზავრით) აღემატება 2020 წელს დაფიქსირებულ შედეგებს და 54%-ით (2 008 440 მგზავრით) ჩამორჩება 2019 წლის თორმეტი თვის მონაცემებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას. შესაბამისად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 46%-ით დაუბრუნდა მგზავრთნაკადის იმ მაჩვენებელს რაც ქონდა 2019 წელს.

განახლებულ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში რეგულარული საჰაერო მიმოსვლა შედარებით გვიან, 2021 წლის აპრილიდან განახლდა, შესაბამისად მგზავრთნაკადის აღდგენის ჯამური მაჩვენებელი აქ 32%-ს შეადგენს. 2021 წელს აეროპორტი 282 514 მგზავრს მოემსახურა, რაც 54%-ით (98 641 მგზავრით) აღემატება 2020 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას და 68%-ით ჩამორჩება 2019 წელს მიღებულ მგზავრთნაკადს. 2019 წელს ქუთაისმა 873 616 მგზავრს უმასპინძლა.

რაც შეეხება ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია გასული წლის დაჯამებული მონაცემებით 5 141 მგზავრს მოემსახურა, რაც 1 976 მგზავრით, შესაბამისად 62%-ით მეტია ვიდრე 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და 40%-ით (3 484 მგზავრით ჩამორჩება პანდემიამდე, 2019 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობას. ამბროლაურის აეროპორტმა განვლილ თორმეტ თვეში 2 000 მგზავრი მიიღო, რაც 786 მგზავრით მეტია (+65%) ვიდრე 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში მომსახურებული მგზავრების რაოდენობა და მხოლოდ 34 მგზავრით (2%) აღემატება 2019 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობას.



2021 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 14 984 რეისი განხორციელდა. აქედან რეგულარული რეისების რაოდენობა შეადგენდა 10 831-ს, ხოლო ჩარტრები - 4 153-ს. 2020 წელს განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისებმა მნიშვნელოვნად, 110%-ით (7 851 რეისით) იმატა, ხოლო რაც შეეხება 2019 წელთან შედარებით შესრულებული ფრენების აღდგენის დინამიკას, აღნიშნული მაჩვენებელი 61%-ს შეადგენს. 2019 წელს აეროპორტები 24 386 რეისს მოემსახურა.

2021 წელს, საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთების მოცულობამ 18 376,172 ტონა შეადგინა, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 20 052,94 ტონა. შესაბამისად ტვირთბრუნვა 8%-ით არის შემცირებული. ცნობისთვის, სამგზავრო საჰაერო მიმოსვლისაგან განსხვავებით, 2020 წელს საქართველოში სატვირთო საჰაერო მიმოსვლა არ შეჩერებულა და მეტიც, COVID-19 გავრცელების და სხვა სახის ოპერირების შეზღუდვის პირობებში მაღალი მოთხოვნით გამოირჩეოდა.

2021 წელს, საქართველოს მსგავსად საჰაერო მიმოსვლა გააქტიურდა სხვა სახელმწიფოებშიც, შესაბამისად, 2020 წელთან შედარებით, ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყენება გაიზარდა 31%-ით, 2019 წელთან შედარებით კი შემცირდა 38%-ით. 2021 წელს, სულ დაფიქსირდა 87 314 ერთეული გადაფრენა. 2020 წელს საქართველოს საჰაერო სივრცეში 66 782 ერთეული გადაფრენა შესრულდა, ხოლო 2019 წელს 140 972.

2021 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს საავიაციო ბაზარზე Turkish Airlines-ი ლიდერობს. ავიაკომპანია ბაზრის 11%-იან წილს ფლობს და 274 404 მგზავრი ყავს გადაყვანილი. მეორე ადგილზე დაბალბიუჯეტის ავიაკომპანია Wizz Air-ია 202 286 გადაყვანილი მგზავრით (8%).

რეგულარული რეისებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის/პროცენტული წილის მიხედვით პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. ავიაკომპანია Turkish Airlines – 274 404 მგზავრი 11%;
2. ავიაკომპანია Wizz Air – 202 286 მგზავრი 8%;
3. ავიაკომპანია SkyUp Airlines – 192 921 მგზავრი 8%;
4. ავიაკომპანია Pegasus – 191 784 მგზავრი 8%;
5. ავიაკომპანია Belavia – 188 438 მგზავრი 8%;
6. ავიაკომპანია Fly Dubai – 135 059 მგზავრი 6%;
7. ავიაკომპანია Flynas – 124 717 მგზავრი 5%;
8. ავიაკომპანია Israir – 98 098 მგზავრი 4%;
9. ავიაკომპანია Georgian Airways – 72 923 მგზავრი 3%;
10. ავიაკომპანია Air Arabia – 72 344 მგზავრი 3%.



2021 წლის ზაფხულის სეზონის პიკურ პერიოდში, საავიაციო ბაზარზე ოპერირებას ახორციელებდა 40 ავიაკომპანია, ერთი ავიაკომპანიით ნაკლები ვიდრე 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ბაზარზე 34 ავიაკომპანია ოპერირებს. 2019 წლის ანალოგიურ სეზონზე საქართველოში 31 ავიაკომპანია ახორციელებდა საჰაერო მიმოსვლას. 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, ფრენები სრულდებოდა 73 მიმართულებით. 2019 წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდში ავიარეისები სრულდებოდა 80 მიმართულებით, შესაბამისად, მიმართულებების აღდგენის მაჩვენებელი 96%-ს შეადგენდა. 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზაფხულის სეზონზე აღდგენილი იყო ავიარეისების 88%-ი. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რეისები შესრულდა კვირაში 250-260 სიხშირით, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში კი, ფრენები სრულდებოდა კვირაში საშუალოდ 295-305 სიხშირით. შესაბამისად, სახეზე იყო ფრენების აღდგენის 85%-იანი მაჩვენებელი. გასულ წელს, საქართველოს საავიაციო ბაზარზე შემოვიდნენ ავიაკომპანიები: Eurowings; Bees Airline; FlyArystan; Air Arabia Abu Dhabi; Middle East Airlines; Air Manas და Wizz Air Abu Dhabi. 2021 წელს, საჰაერო მიმოსვლა დაიწყო 16 ახალი მიმართულებით. ესენია:

- ალმათი - ბათუმი - ალმათი (Air Astana);
- ატირაუ - ქუთაისი - ატირაუ (FlyArystan);
- აქტაუ - ქუთაისი - აქტაუ (FlyArystan);
- შიმკენტი - ქუთაისი - შიმკენტი (FlyArystan);
- ნურსულთანი-ქუთაისი-ნურსულთანი (FlyArystan);
- გიუმრი - თბილისი - გიუმრი (Aircompany Armenia);
- თბილისი - ხერსონი - თბილისი (Bees Airlines);
- დიუსელდორფი - თბილისი - დიუსელდორფი (Eurowings);
- ბიშკეკი - ბათუმი - ბიშკეკი (Air Manas);
- აბუ დაბი - თბილისი - აბუ დაბი (Air Arabia Abu Dhabi);
- მინსკი - ქუთაისი - მინსკი (Belavia);
- აქტობე - თბილისი - აქტობე (Scat);
- თბილისი - მიკოლაევი - თბილისი (Bees Airlines);
- გასიმი - თბილისი - გასიმი (Flynas);
- ფრანკფურტი - თბილისი - ბაქო (Lufthansa);
- ვარშავა-ბათუმი-ვარშავა (LOT Polish Airlines);
- აბუ დაბი - ქუთაისი - აბუ დაბი (Wizz Air Abu Dhabi).

2021 წელს, სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ დაახლოებით 3040 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა და 41 თანხმობა უცხო ქვეყნის კომპანიის მიერ საქართველოს შიგნით ფრენებისათვის.

2021 წლის საჰაერო მიმოსვლის დაჯამებული სტატისტიკა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
<https://gcaa.ge/statistics/>



სიახლეები სატვირთო გადაზიდვების კუთხით

2021 წელს, სატვირთო გადაზიდვების კუთხით საკმაოდ ბევრი სიახლე იყო საავიაციო ბაზარზე, რაც გარკვეულწილად პანდემიამ და მსოფლიოში სატვირთო ავიარეისებზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა. ქართულმა ავიაკომპანიებმა გააქტიურეს ოპერირება სატვირთო მიმართულებით. ავიაკომპანია Geo Sky გახდა პირველი ქართული სატვირთო ავიაგადამზიდველი, რომელმაც დაიწყო რეგულარული სატვირთო გადაზიდვების განხორციელება ჩინეთისა და ევროპის მიმართულებებით. დღეისათვის, რეგულარულ ფრენები ხორციელდება ამსტერდამის, ფრანკფურტის, გუანჯოუსა და ჩჟენჩჟოუს მიმართულებით. ქართულმა სატვირთო ავიაკომპანიამ Easy Charter-მა მოიპოვა ევროკავშირის ავტორიზაცია (ე.წ. TCO), რაც უფლებას აძლევს ავიაკომპანიას სატვირთო გადაზიდვები შეასრულოს ევროპის მიმართულებებით. ავიაკომპანიამ უკვე დაიწყო ევროპის ბაზარზე ოპერირება. Georgian Airways-ი შევიდა სატვირთო გადაზიდვების სეგმენტში. ავიაკომპანიის საჰაერო ფლოტს დაემატა სატვირთო საჰაერო ხომალდი, რომლითაც ჩარტერულ რეისებს ახორციელებდა აზიის, ევროპისა და მეზობელი ქვეყნების მიმართულებებით. ავიაკომპანია Myway Airlines-ს, დაემატა ასევე სატვირთო საჰაერო ხომალდი, რომლითაც ჩარტერული სატვირთო რეისები სრულდება ევროპისა და აზიის სხვადასხვა მიმართულებებით (2021 წლის 30 ნოემბერს ავიაკომპანიას გააუქმდა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა. ფრენები დროებით აღდგენილია სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ავიაკომპანია Silk Way West Airlines-მა შეასრულა 2 რეისი ჩიკაგო - თბილისი - ბაქოს მიმართულებით, რაც პრეცედენტის და კომერციული დატვირთვის თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ავიაკომპანიის ინფორმაციით, ფრენები ამ მიმართულებით მომავალშიც იგეგმება.



ავღანეთიდან საევაკუაციო და ჰუმანიტარული გადაყვანა-გადაზიდვების კოორდინირება

2021 წელს, საქართველო, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო, აქტიურად ჩაერთო ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების ჰუმანიტარულ მისიაში. ამ მხრივ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა ერთგვარი ჰაბის ფუნქცია იტვირთა. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ჩართული იყო ავღანეთიდან სამოქალაქო და სამხედრო პირების ევაკუაციისა და ჰუმანიტარული გადაყვანა-გადაზიდვების კოორდინირების პროცესში. 2021 წლის აგვისტოდან, სააგენტოს უშუალო ჩართულობით, საქართველოს აეროპორტებმა მიიღეს ავღანეთიდან წამოსული საევაკუაციო ფრენები.

ავღანეთიდან და მისი მოსაზღვრე ქვეყნებიდან საქართველოს მიმართულებით განხორციელდა 67 საევაკუაციო ფრენა (39 ავღანეთიდან, 28 მეზობელი ქვეყნებიდან), რომლიდანაც 36 ფრენა განხორციელდა მგზავრების ჩამოყვანის მიზნით (შემდგომ მოხდა მათი გამგზავრება სხვადასხვა კომპანიებით), ხოლო 31 რეისი განხორციელდა ტექნიკური მიზნებისთვის. ამასთან საქართველოდან გამყვანი რეისები (სულ 57) განხორციელდა ნორვეგიის, ფინეთის, უნგრეთის, გერმანიის, შვედეთის, ნიდერლანდების, რუმინეთის, დანიის, იტალიის, საბერძნეთის და მაკედონიის მიმართულებით.



რეგულირება / კანონშემოქმედებითი საქმიანობა

ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების, ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების და მგზავრთა უფლებების დაცვის მიზნით, 2021 წელს, სააგენტომ შესაბამისი ევროკავშირის რეგულაციების და ღირეტივების, ასევე ICAO-ს სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის მიხედვით, შემდეგი წესები/ცვლილებები მიიღო/პროექტზე იმუშავა:

- სამოქალაქო საავიაციო უსაფრთხოების მიზნებისთვის განკუთვნილი გეოდეზიური სამუშაოების შესრულების წესი** - ნორმატიული აქტი დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 მარტის N106 დადგენილებით და მის პროექტზე სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ იმუშავა. წესი შედგენილია ევროპული მოთხოვნების შესაბამისად და ასახავს ევროკონტროლის შესაბამისი დოკუმენტით (EUROCONTROL Specification for the Origination of Aeronautical Data) დადგენილ სპეციფიკაციებს და ტექნიკურ ნორმებს. წესის მიზანია ფრენების უსაფრთხოების შემდგომი გაუმჯობესება, საჰაერო სივრცის მომხმარებლებისთვის ხარისხიანი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების გზით. ნორმატიული აქტი მოიცავს სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის ტერიტორიის მდებარეობისა და ორიენტირების, ასევე, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის და მასთან დაკავშირებული სამიმოსვლო ბილიკის, სანავიგაციო მომსახურებაში გამოყენებული ტექნიკური საშუალებების და ქვეყნის მასშტაბით არსებული საავიაციო დაბრკოლებების გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. წესის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, რომლებიც ჩართულნი არიან სამოქალაქო საავიაციო უსაფრთხოების მიზნებისთვის განკუთვნილ გეოდეზიურ სამუშაოებში - დამკვეთის ან შემსრულებლის სახით.
- სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირებისა და საფრენი მოედნების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ღირეტივორის 2021 წლის 4 მარტის №32 ბრძანება) - ახალი წესით მოხდა აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირების მოთხოვნების, კრიტერიუმების და პროცესების დახვეწა, ასევე ნორმატიული აქტი ითვალისწინებს საფრენი მოედნების რეგისტრაციას და აღრიცხვას. დოკუმენტი შემუშავებულია ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-14 და მე-17 დანართების, ევროკომისიის 2009 წლის 18 დეკემბრის №1254/2009 რეგულაციის, ასევე ICAO-ს ოფიციალური გამოცემების - Doc-9774 (აეროდრომის სერტიფიცირების



სახელმძღვანელოს) და Doc-8973 (საავიაციო უშიშროების სახელმძღვანელოს) მოთხოვნების გათვალისწინებით.

- სპეციალური ნებართვის გაცემის წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 31 მარტის N70 ბრძანება) - არეგულირებს საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიებისთვის ან საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მადიებლებისთვის სპეციალური ნებართვის გაცემის წესს ფრენების გარკვეულ პირობებზე/სახეებზე. წესის მიღებით, სააგენტომ დაწერა ევროკავშირის 965/2012 რეგულაციის მე-5 დანართით (Specific Approvals Part-SPA) გათვალისწინებული მოთხოვნები. წესი ძალაშია მიმდინარე წლის 1 აპრილიდან.
- სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის სერტიფიცირების წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 8 ივლისის N168 ბრძანება) - ახალი ნორმატიული აქტის მიზანია სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საავიაციო საწვავით გამართვის უსაფრთხო მომსახურების უზრუნველყოფა, ასევე, სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოს ტექნიკური პერსონალის მომზადების, შესაბამისი მოწმობის გაცემის, გაუქმების და მოქმედების ვადის გაგრძელების პირობების განსაზღვრა. წესის ამოქმედებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 8 ოქტომბრის №168 ბრძანება „სამოქალაქო საჰაერო ხომალდების საწვავ-გასამართი საწარმოების ტექნიკური პერსონალის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“.
- ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ხელოვნურ საფარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და შეტყობინების წესი** (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 12 აგვისტოს N193 ბრძანება) - წესის ადგენს ხელოვნურ საფარზე არსებული მდგომარეობის შეფასებისა და შეტყობინების მოთხოვნებს. ნორმატიული აქტის მიზანია ფრენის უსაფრთხოების გაუმჯობესება და სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) მიერ დადგენილი გლობალური შეტყობინების ახალი ფორმატის (GRF – Global Reporting Format) საქართველოში დაწერგვა, ასევე, ICAO-ს ოფიციალური გამოცემა PANS 9981-ის (აეროდრომები) მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა.



- **საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის/მეთვალყურე-შეგირდის და მათი სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 20 ოქტომბრის N234 ბრძანება) - შემუშავებულია ევროკავშირის N2015/340 რეგულაციის მიხედვით და მისი მიზანია საქართველოს საჰაერო სივრცეში საავიაციო უსაფრთხოების დონის შემდგომი ამაღლება და საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემის ფუნქციონირების გაუმჯობესება საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის/მეთვალყურე-შეგირდის მოწმობის გაცემისა და მეთვალყურის სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების ახალი და უფრო სრულყოფილი მოთხოვნების დადგენის გზით. წესი 2022 წლის პირველი იანვრიდან, ეტაპობრივად შევა ძალაში.
- **საქართველოს სამოქალაქო აეროდრომზე ველური ბუნების მიერ გამოწვეული საფრთხეების მართვის წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2021 წლის 23 დეკემბრის N288 ბრძანება) - წესის მიზანია საქართველოს სამოქალაქო აეროდრომების ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ველური ბუნების მიერ შექმნილი საფრთხეების და მასთან დაკავშირებული რისკების შემცირების უზრუნველყოფა ახალი პროცედურების შესაბამისად. ნორმატიული აქტის მიღებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 1 მაისის №56 ბრძანება „საქართველოს სამოქალაქო აეროდრომებზე ველური ბუნების მიერ შექმნილი საფრთხეების შემცირებისა და მართვის წესის“ დამტკიცების შესახებ“.
- **საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი** (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრის N302 ბრძანება) - წესი შემუშავებულია ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის №8 დანართის საფუძველზე და მასში გათვალისწინებულია ICAO-ს ოფიციალური გამოცემის Doc-9760 (ფრენის ვარგისობის სახელმძღვანელო) და ევროკავშირის (EC) №1321/2014 რეგულაციის მე-2 დანართის (Part-145) მოთხოვნები. წესის მიზანია არსებული ფრენის უსაფრთხოების სტანდარტების და საავიაციო ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების გაუმჯობესება საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს ევროკავშირის სტანდარტებით სერტიფიცირების გზით.



სერტიფიცირება

- 2021 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ სააერონავიგაციო მომსახურების საწარმოს - შპს „საქაერონავიგაციის“ ხელახალი სერტიფიცირება დაასრულა. რესერტიფიცირების ფარგლებში, სააგენტოს სასერტიფიკაციო კომისიის მიერ, შემოწმდა საქაერონავიგაციის მართვის და ბიზნეს დაგეგმარებასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესები, შეფასდა უსაფრთხო და უწყვეტ სააერონავიგაციო მომსახურებებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და განხორციელდა ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის ინსპექტირება. სერტიფიცირება განხორციელდა ევროპული რეგულაცია N373/2017-ით გათვალისწინებული მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილების მიზნით, რაც თავის მხრივ ზრდის საქართველოს სააერონავიგაციო მომსახურების უსაფრთხოებას და ეფექტურობას.
- საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების სერტიფიცირების / სერტიფიკატების ვადის გაგრძელების კუთხით, 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა:
 - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ პირველადი სერტიფიცირება;
 - შპს „იზი ჩარტერის“ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება;
 - შპს „თ სი ეი“-ს საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება;
 - შპს ავიაკომპანია „ჯეო სქაი“-ს საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება;
 - შპს „ჯორჯიან ეარვეისის“ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება;
 - შპს „აერო ექსპედიშენ“ საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება;
- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების AOC-ს დანართებთან მიმართებაში განხორციელდა:
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N1 დანართში/საექსპლუატაციო სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანა -5;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N1 დანართში საჰაერო ხომალდის შეტანა -7;



- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N1 დანართიდან საჰაერო ხომალდის ამოღება - 14;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N2 დანართის გაცემა - 1;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N2 დანართის მოქმედების ვადის გაგრძელება 4;
 - საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N2 დანართის გაუქმება - 2.
- 2021 წელს, მიმდინარეობდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მიღების მსურველი შემდეგ ავიასაწარმოთა პირველადი სერტიფიცირების პროცესი:
 - შპს „აირ ჯორჯია“;
 - შპს „თბილისი ეარვეისი“;
 - შპს „ავიაკოპტერი“;
 - შპს „საქართველოს ავიანაზები“;
 - შპს „კამექს ეარლაინზი“;
 - შპს „აირზენა“.
 - 2021 წელს დარეგისტრირდა და ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი გაიცა 7 ერთეულ საჰაერო ხომალდზე;
 - სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირებისა და საფრენი მოედნების რეგისტრაციის და აღრიცხვის ახალი წესის მოთხოვნების და პირობების შესაბამისად, მოხდა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის სერტიფიკატის შეცვლა (ახალი სერტიფიკატი გაიცა 2021 წლის 30 დეკემბერს).
 - განხორციელდა შპს „საქაერონავიგაციის“ სასწავლო დაწესებულება რესერტიფიცირება;
 - განხორციელდა შემდეგი საწვავ გამმართველი საწარმების სერტიფიცირება: ავიასერვისის საწვავ-გამმართველი საწარმო; თი-სი-ეი-ს საწვავ-გამმართველი საწარმო;
 - განხორციელდა ერთი მსუბუქი უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის სერტიფიკატის (LUC) გაცემა.



ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობის და საიმედოობის შეფასება

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგრადობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს. 2021 წლის განმავლობაში, სააგენტოს საფინანსო ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი ახორციელებდა საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების მიერ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულების ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას, ანალიზს და მუდმივ ზედამხედველობას. აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში:

- 2021 წლის 30 ნოემბერს ავიაკომპანია „მაი ვეი ეარლაინს კო ლტდ“-ს გააუქმდა საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობა. ფრენები დროებით აღდგენილია სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;
- საჰაერო-გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელმა საწარმოებმა წარმოადგინეს 2020 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება;
- პანდემიის მძიმე ზეგავლენის შერბილების, ქართული ავიაკომპანიების საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების და რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შეჩერებით გამოწვეულ სირთულეებთან გამკლავების მიზნით, სააგენტომ 2022 წლის პირველ ივლისამდე (სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის N76 ბრძანება “ახალი კორონავირუსი COVID-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით საგანგებო მდგომარეობის განმავლობაში საავიაციო საქმიანობის ზედამხედველობის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”) შეაჩერა „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N298 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება, რომელიც წარმოადგენს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის შეჩერებისა და გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს, 12 თვიანი პერიოდის განმავლობაში ავიაგადამზიდველის მიერ არსებული და პოტენციური ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, ავიაკომპანიებს დროებით მოეხსნათ შუალედური ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ვალდებულება.



ლიცენზირება / სერტიფიცირება

- 2021 წლის განმავლობაში, ავიასპეციალისტის მოწმობის გაიცა 12 პირზე, ხოლო მოწმობის ვადა გაუგრძელდა 165 ავიასპეციალისტს. განხორციელდა ავიასპეციალისტის მოწმობაში საკვალიფიკაციო აღნიშვნები (343), ასევე მიმდინარეობდა უცხო ქვეყნის ავიასპეციალისტის მოწმობის აღიარება (55);
- სააერნაოსნო მომსახურების მიმართულებით, გაიცა დაახლოებით 50 მოწმობა;
- მოქმედების ვადა გაუგრძელდა საწვავ-გამმართველი საწარმოს ტექნიკური პერსონალის 29 მოწმობას;
- განხორციელდა პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებები - 4 (სიმულატორი); პილოტ-ინსტრუქტორების კვალიფიკაციის მინიჭება - 2; უფროსი პილოტ-ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ვადის გაგრძელება - 6;
- 2021 წლის განმავლობაში, შესაბამისი განაცხადებისა და შუამდგომლობის საფუძველზე, გაიცა 31 მასწავლებლის მოწმობა;
- განხორციელდა 4 სახიფათო ტვირთების ინსტრუქტორის სერტიფიცირება საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის შესაბამისად;
- გაიცა/გაგრძელდა 226 შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატი.

საშვების გაცემა


- გაიცა აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცულ ზონებში შესასვლელი პიროვნების და ავტროსატრანსპორტო საშუალებების მუდმივი საშვები (მათ შორის ეკიპაჟის წევრის 130-ზე მეტი საშვი).



საფრენი მოედნების რეგისტრაცია /


ხელსაყრელი წერტილების შერჩევა

- სამოქალაქო აეროდრომის/ვერტოდრომის სერტიფიცირებისა და საფრენი მოედნების რეგისტრაციის და აღრიცხვის ახალი წესის (2021 წლის 4 მარტის №32 ბრძანება) შესაბამისად, დარეგისტრირდა საფრენი მოედანი „დიდი ლილო“, სადაც უზრუნველყოფილია ვერტმფრენების ბაზირებისა და მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა;
- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N118 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა დაასრულა საქართველოს ტერიტორიაზე უმოქმედო და ახალი საფრენი მოედნების განთავსების ადგილების შესწავლა (შესწავლილი იქნა 333 ლოკაცია) და შეიმუშავა - „საქართველოს ტერიტორიაზე ვერტმფრენების არსებული, როგორც მოქმედი, ასევე უმოქმედო და ახალი საფრენი მოედნების მოწყობის შესაძლებლობის შესწავლის ანგარიში“. ანგარიში შემდგომი რეაგირების მიზნით წარედგინება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.




ინსპექტირება / ზედამხედველობა

- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების შემოწმებების 2021 წლის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 2021 წელს შესრულდა: 8 საბაზო ობიექტის ინსპექტირება, სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით; 1 წინასასერტიფიკაციო ინსპექტირება (პირველადი სერტიფიცირება); 26 გეგმიური ინსპექტირება და 1 არაგეგმიური ინსპექტირება (საბაზო ობიექტები); 45 ინსპექტირება საჰაერო ხომალდების ბაქანზე (3 საზღვარგარეთ);
- განხორციელდა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული 48 ერთეული სხვადასხვა ტიპის, წონის და დანიშნულების საჰაერო ხომალდის და ტექნიკური მომსახურების საწარმოს გეგმიური და სასერტიფიკაციო შემოწმებები. შემოწმებები ხორციელდება იმ საჰაერო ხომალდებზე რომლებსაც გააჩნიათ მოქმედი საფრენად ვარგისობის სერტიფიკატი და ხდება მისი საფრენოსო ექსპლუატაცია;
- ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, ჩატარდა უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების (EU Ramp Inspection Programme SAFA) წლიური გეგმით გათვალისწინებული ინსპექტირებები (25);
- ზედამხედველობა ხორციელდებოდა საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების 12 საწარმოზე;
- გეგმიური საინსპექციო შემოწმებები ჩატარდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მესტიის, ამბროლაურის, ნატახტარის და თელავის აეროდრომებზე;
- ინსპექტირება ჩატარდა შემდეგ საწვავ გამმართველ საწარმებს: გალფ-ავიაცია, ჯორჯიან პეტროლიუმი, ჯორჯიან ეარვეისის საწვავ გამმართველი საწარმო, ჯეოსქაის საწვავ გამმართველი საწარმო, გუდაური ჰელისქეინგის საწვავ გამმართველი საწარმო;
- სააერონავიაციო მომსახურების ზედამხედველობის კუთხით, საქაერონავიაციის და მისი სასწავლო დაწესებულების რესერტიფიცირების ფარგლებში, განხორციელდა საწარმოს ინსპექტირება ქ. თბილისში. გარდა ამისა, შესრულდა შემდეგი გეგმიური ინსპექტირებები:



- შპს „საქაერონავიგაციის“ ობიექტებზე ქ. ფოთსა და ქ. სენაკში, სააერნაოსნო მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფის და საავიაციო მეტეოროლოგიის მიმართულებებით განხორციელდა ადგილზე გადამოწმების აქტივობა;
 - შპს „საქაერონავიგაციის“ ქ. თბილისის ობიექტზე განხორციელდა საძებნ-სამამშველო მომსახურების ადგილზე შემოწმების აქტივობა;
 - ჰაერსანაოსნო მონაცემების და ინფორმაციის უზრუნველყოფის მიმართულებით, ინსპექტირებები განხორციელდა თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში, ასევე, ამბროლაურის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტში.
- განახორციელა გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებები სახიფათო ტვირთის გადაზიდვის კუთხით. ინსპექტირებები განხორციელდა როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. შემოწმდნენ საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიები, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, დანიშნული საფოსტო ოპერატორი, აეროპორტების ოპერატორები, ტვირთგამგზავნები. მასთან, განხორციელდა საქართველოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების რეგულარული და არაგეგმიური შემოწმება ბაქანზე - სულ 17 ინსპექტირება;
 - საავიაციო უშიშროების რისკების შეფასების პროცედურის შესაბამისად გაანგარიშებული შემოწმების გრაფიკით, ინსპექტირებები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (სრულმასშტაბიანი შემოწმება, გადამოწმება); ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი (სრულმასშტაბიანი შემოწმება, გადამოწმება); ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი; ამბროლაურის აეროპორტი; „პეტროკას ფიუელ სერვის ჯორჯია“ (ბათუმი); „პეტროკას ფიუელ სერვის ჯორჯია“ (თბილისი); შპს „ლასარე“; შპს „კარგო სერვის“; შპს „საქართველოს ფოსტა“; ა/კ „მაივეი ეარლაინსი“; ა/კ „ჯორჯიან ეარვეისი“; „საქართველოს საავიაციო უნივერსტეტი“; ა/კ „ჯეო სქაი“; ა/კ „თისიეი“; ა/კ „აკ ეარ“; ა/კ „სერვისეარი“; ა/კ „ავიასერვისი“; ა/კ „იზი ჩარტერი“; ა/კ „აეროექსპედიშენი“; ა/კ „სქაი თრეველი“; „საქაერონავიგაცია“ (თბილისი); „საქაერონავიგაცია“ (ბათუმი); შპს „ამს ტექნიკსი“; ნატანტარი;
 - განხორციელდა მსუბუქი უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდის სისტემის ექსპლუატანტის საზედამხედველო საქმიანობა (3-ჯერ);



მგზავრთა უფლებების დაცვა

- ცვლილება შევიდა საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის, ფრენის გაუქმების ან ხანგრძლივი დაგვიანების შემთხვევაში მგზავრებისათვის კომპენსაციის გაცემისა და დახმარების აღმოჩენის წესში (სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 17 ივლისის №122 ბრძანება). კერძოდ, ევროპული პრაქტიკის მსგავსად, მგზავრები უფლებამოსილნი გახდნენ მოითხოვონ კომპენსაცია მომსახურე ავიაგადამზიდველისაგან ფრენის სულ მცირე 3 საათით დაგვიანების შემთხვევაში. აქამდე, ავიაგადამზიდველის მიერ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ვრცელდებოდა საჰაერო ხომალდში ჩასხდომაზე უარის თქმის და ფრენის გაუქმების შემთხვევებზე;
- 2021 წლის განმავლობაში, სააგენტო აქტიურად იყო ჩართული მგზავრთა უფლებების დაცვის ზედამხედველობით საქმიანობაში. განხილულ იქნა 7 საჩივარი, რომლებიც შემოვიდა მგზავრებისა და შუამავალი ორგანიზაციების მხრიდან, ფრენის დაგვიანების ან ფრენის გაუქმების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი პრობლემური საკითხის განხილვისას, მ.წ. 14 ივნისს შესწავლის მიზნით მოწვეულ იქნა ავიაკომპანია თურქეთის ავიახაზები და დაზარალებული მგზავრები. განხილვის შედეგად, სააგენტოში შემოვიდა შეტყობინება, რომ აღნიშნული საჩივრის დაკმაყოფილება მოხდა მგზავრების სასარგებლოდ;
- 2021 წლის განმავლობაში შშმ პირების უფლებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა მხრიდან საჩივარი სააგენტოში არ შემოსულა.



გარემოსდაცვითი აქტივობების განხორციელება

გარემოსდაცვითი და ავიაციის მიერ გამოყოფილი CO₂-ის შემცირების მიზნებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო უახლოეს წლებში გეგმავს ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSIA) ეტაპობრივ დანერგვას ქვეყანაში. 2021 წელს, სააგენტომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები შესაბამისი კადრების მომზადება-გადამზადების და ინდუსტრიასთან წინასწარი კონსულტაციების გამართვის თვალსაზრისით, აგრეთვე დაიწყო საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ, 2020 წლის 1 იანვრის შემდგომ ატმოსფეროში ყოველწლიურად გაფრქვეული ნახშირორჟანგის გამონაბოლქვის მონიტორინგი.

ICAO-ს ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემა (CORSIA) ვრცელდება საერთაშორისო ფრენებზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო ავიაციის მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას, გამოყოფილი CO₂-ის ფინანსური კომპენსირებისა და ბიოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენების ხარჯზე ნაკლები CO₂-ის გაფრქვევის გზით. CORSIA-ს მოქმედების ქვეშ ექცევა ავიაკომპანია, რომელიც ექსპლუატაციას უწევს მინიმუმ ერთ საჰაერო ხომალდს მაქსიმალური ასაფრენი მასით 5,700 კგ ან მეტი, ასრულებს საერთაშორისო ფრენებს და მის მიერ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გამოფრქვეული ნახშირორჟანგის მოცულობა შეადგენს მინიმუმ 10 ათას ტონას. სქემა ერთნაირად ვრცელდება სამგზავრო და სატვირთო ფრენებზე. სქემის ქვეშ არ ექცევა სამედიცინო, ჰუმანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ფრენები.



უპილოტო საჰაერო ხომალდების ოპერატორების რეგისტრაციის ონლაინ პლატფორმა

2021 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ გვერდზე (www.gcaa.ge) ამოქმედდა უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტების რეგისტრაციის ონლაინ პლატფორმა: <https://uas.gov.ge/>. ონლაინ პლატფორმის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა 250 გრამზე მეტი მასის მქონე უპილოტო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების) ელექტრონული რეგისტრაცია. მომხმარებლებს შესაძლებლობა ეძლევათ დაარეგისტრირონ კუთვნილი უპილოტო საჰაერო ხომალდი და გაიარონ „ღია კატეგორიაში“ ექსპლუატაციისთვის სავალდებულო დისტანციური პილოტების კომპეტენციის დამადასტურებელი ონლაინ ტესტირება. განვლილი 2021 წლის განმავლობაში, ონლაინ პლატფორმაზე დაარეგისტრირდა 400-მდე ოპერატორი.



საერთაშორისო ურთიერთობები და თანამშრომლობა

- 2021 წელს, „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ოფიციალურად ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი კომიტეტის პირველი ფორმალური სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე, მხარეებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს და ევროკავშირის შორის, საჰაერო მიმოსვლის კუთხით არსებული მზარდი დინამიკა, აგრეთვე, მოისმინეს ინფორმაცია საქართველოს მიერ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, საავიაციო სფეროში გატარებული რეფორმებისა და მიღწეული პროგრესის შესახებ. ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებას რატიფიცირება ევროკავშირმა 2020 წელს მოახდინა. შეთანხმების ფარგლებში, საქართველო თანმიმდევრულად ნერგავს ევროპულ საავიაციო რეგულაციებსა და დირექტივებს ეროვნულ კანონმდებლობაში, რაც ხელს უწყობს ფრენების უსაფრთხოებისა და მგზავრთა უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებას ქვეყანაში, ასევე, ხელსაყრელ პირობებს ქმნის საავიაციო ბაზრის განვითარებისთვის;
- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. კენჭისყრა, ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, 2021 წლის 25 ნოემბერს შედგა. EUROCONTROL-ის მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ლევან კარანაძის მეორე ვადით არჩევას ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა (41 ქვეყანა) ერთხმად დაუჭირეს მხარი. ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის საბჭო წარმოადგენს უწყების მმართველ რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს EUROCONTROL-ის მიერ განსაზღვრული პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის აღსრულებას. საბჭოს წევრები არიან ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების საავიაციო ხელისუფლებების პირველი პირები. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი EUROCONTROL-ის მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტად პირველი ვადით 2019 წელს აირჩიეს. მიმდინარე კენჭისყრის შედეგად, ლევან კარანაძე აღნიშნულ პოსტზე საქმიანობას მომავალი ორი წლის ვადით გააგრძელებს;



- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი, ლევან კარანაძე ICAO-ს საავიაციო სისტემების დაგეგმვის ევროპული ჯგუფის (EASPG) თავმჯდომარედ აირჩიეს. საქართველოს წარმომადგენელი აღნიშნულ ჯგუფს ერთი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს. საავიაციო სისტემების დაგეგმვის ევროპული ჯგუფი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს მიერ 2019 წელს დაარსდა და მისი საქმიანობა ფარავს ICAO-ს ყველაზე წამყვან და მრავალრიცხოვან, ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკურ რეგიონს, სადაც 56 წევრი სახელმწიფო შედის. ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს ევროპის სანავიგაციო სისტემების განვითარების და უსაფრთხოების დონის თავსებადობა ICAO-ს გლობალური საავიაციო უსაფრთხოებისა და საჰაერო ნავიგაციის გეგმებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან, ასევე აღნიშნულთან მიმართებაში წევრი სახელმწიფოების პროგრესის მონიტორინგი და ანგარიშგება ICAO-ს საბჭოს წინაშე. EASPG-ი ხელს უწყობს საჰაერო ნავიგაციასთან და საავიაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგიონალური და ეროვნული პროგრამების ჰარმონიზაციას, ასევე ეწევა რეგიონთაშორის კოორდინაციას;
- 2021 წელს, ICAO-მ საპილოტე ქვენად არჩია საქართველო, რომლის ფარგლებშიც სააგენტო ჩაერთო “iPack- Aviation safety risk management related to COVID 19 for CAAS” პროექტში. პროექტი პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევის და აღდგენით პროცესში საავიაციო ხელისუფლებების ხელშეწყობას/პროფესიულ კონსულტირებას ითვალისწინებს. დონისძიების ფარგლებში, შეხვედრები და მიზნობრივი სწავლებები დისტანციურად მიმდინარეობდა. სწავლება გამიზნული იყო სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სახელმწიფო პროგრამით (SSP) და საავიაციო უსაფრთხოების მართვის სისტემით (SMS) გათვალისწინებულ პროცესებში ჩართული სპეციალისტებისთვის და ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებისთვის;
- 2021 წელს, სააგენტოს მიერ, მომზადდა 8 საპროექტო წინადადება ევროკავშირის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტის - TAIEX-ის ფარგლებში საექსპერტო დახმარების მისაღებად. ევროპული მხარის მიერ, დაკმაყოფილდა 2 განაცხადი (UAV, SPO), რომლის ფარგლებშიც, 2021 წელს დაიგეგმა ექსპერტ მისიები და სამუშაო შეხვედრები.



- 2021 წლის განმავლობაში, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო შემდეგი მთავრობათაშორისი შეთანხმების შემუშავების პროცესში:
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ტუნისის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და სეიშელის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოსა და თურქმენეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის;

- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ICAO-ს, EASA-ს და სხვა საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფების მუშაობაში.



სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და ეფექტურობის ამაღლება

- 2021 წელს, სააგენტოს მიერ გამოცხადდა 3 საჯარო კონკურსი შემდეგ ვაკანტურ პოზიციებზე: 1) ხარისხის მართვის დეპარტამენტის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის სპეციალისტი (კონკურსი გამოცხადდა ჩამოლილად. 2) ფრენის სტანდარტების, სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტი (PEL); 3) ხარისხის მართვის დეპარტამენტის სპეციალისტი (მიმდინარე);
- სააგენტოს დებულებაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით (სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების, შესაბამისი დასკვნის მომზადების, სასწავლო პროგრამების შეთანხმების და მასწავლებლის/ავიასპეციალისტის მოწმობის გაცემის ფუნქციები გაიყო კომპეტენციის შესაბამისად) მოხდა სააგენტოს საშტატო ნუსხის ცვლილება და კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების განხორციელებისათვის განსაზღვრული საშტატო ერთეულების გადატანა ერთი დეპარტამენტიდან მეორეში;
- დამტკიცდა სააგენტოს შიდა და გარე კომუნიკაციის სახელმძღვანელო, რომლის მიზანია შიდა და გარე კომუნიკაციის სტრატეგიების განსაზღვრა და მათი მიღწევა, არსებული სირთულეების ანალიზი, კომუნიკაციის პროცესის, საფეხურების, ეფექტიანი კომუნიკაციის ძირითადი პრინციპების აღწერა;
- დამტკიცდა სააგენტოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა საქართველოს შრომის კოდექსის და „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის“ (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021წ. 12 თებერვლის N01-15/5 ბრძანება) შესაბამისად.
- ითარგმნა სტრუქტურული ერთეულების მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი (500 გვერდზე მეტი);



- 2021 წელს განხორციელდა შემდეგი სწავლებები:
 - Aviation Data-driven Decision Making, ICAO TRAINAIR PLUS (5 თანამშრომელი);
 - Leadership and Management. EU Project “Support to Public Administration Reform in Georgia” (1 თანამშრომელი);
 - COVID-19 Aviation Safety Risk Management for CAAs: Virtual Course (1 თანამშრომელი);
 - RVSM/PBN/LVO/ETOPS Training Course. Austro Control (13 თანამშრომელი);
 - AVSEC Quality Control Training Course. Georgian Aviation Training Center (5 თანამშრომელი);
 - შრომის კოდექსი, ეკონომიკის სამინისტრო (1 თანამშრომელი);
 - თანამედროვე მართვის უფექტიანობის ძირითადი პრინციპები (17 თანამშრომელი);
 - Annex 14 Requirements and Application Course. Singapore Aviation Academy (1 თანამშრომელი);
 - Aviation Entities AVSEC Managers, Head of Security and Supervisors Training Course (1 თანამშრომელი);
 - შიდა სასწავლო კურსი: სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების გადაზიდვა;
 - Inspectors Training Course (Online), ENAC, (9 თანამშრომელი);
 - Conference on ATM Digitalization (3 თანამშრომელი);
 - EASA Air Operations Mngt. Team Workshop / Flight Operations & Crew Training. JAA (1 თანამშრომელი);
 - EASA Aircrew Licensing Training Course (EU) 1178/2011 and Amending Regulations. JAA (1 თანამშრომელი);
 - Audit Technique. ENAC (1 თანამშრომელი);
 - OSAC/MOOC (AIR რამდენიმე მოდული) Complete package (2 თანამშრომელი);
 - CORSIA (ICAO), (2 თანამშრომელი);
 - Dangerous Goods Training Course for CAA Staff and Airport Authorities (JAA TO), (3 თანამშრომელი);
 - Regulatory Auditing Techniques (JAA), (1 თანამშრომელი);
 - შიდა სასწავლო კურსი: ხარისხის მართვის სისტემის გაცნობითი კურსი;
 - შიდა სასწავლო კურსი ორგანიზაციულ მენეჯმენტში;
 - რისკების მართვის სემინარი (ICAO) (1 თანამშრომელი).
- სააგენტო უზრუნველყოფდა თანამშრომლების ვაქცინაციის პროცესის აღრიცხვას, ასევე ორგანიზებულად აცრისთვის საჭირო მონაცემების კოორდინირებას, საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელთათვის დახმარების აღმოჩენას რეგისტრაციაში (2021წ. დეკემბრის მდგომარეობით, აცრილია თანამშრომელთა 90%);



საზოგადოებასთან ურთიერთობა და სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- 2021 წლიდან ეტაპობრივად ჩაეშვა სააგენტოს ახალი ლოგო და ვებ-გვერდი. დასრულდა რებრენდინგის პროცესი;
- საზოგადოებასთან/მედიასთან ურთიერთობის კუთხით, სააგენტო უზრუნველყოფდა: მომხმარებელთა ინფორმირებას ადღგენილ/განახლებულ ფრენებზე; სიახლის/რელიზის/განცხადების მომზადებას და გავრცელებას (74); სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მედიასთან ურთიერთობას; სააგენტოს ვებ-გვერდისა და სოციალური გვერდის ინფორმაციულ უზრუნველყოფას; სამოქალაქო ავიაციის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და ცნობიერების ასამაღლებელი მასალების მომზადებას;
- 2020 წელს, სააგენტოში შემოვიდა 43 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. აქედან, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა ყველა მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე არ დაფიქსირებულა უარის თქმის არცერთი შემთხვევა.
- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს მიერ, რეგულარულად ხორციელდება ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე;
- გარე განხილვის ფარგლებში, ნორმატიული აქტების პროექტების განთავსება ხდებოდა (9 პროექტი) სააგენტოს ვებ-გვერდზე სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ განყოფილებაში (ნორმატიული აქტების პროექტები).



სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აქტიურად იღებს მონაწილეობას სტუდენტების პროფესიული მომზადების პროცესში. სააგენტოს მაღალი და საშუალო მენეჯერული რგოლის წარმომადგენლები და სპეციალისტები სხვადასხვა პერიოდულად, კითხვობენ სალექციო კურსებს საავიაციო უნივერსიტეტში, რაც მნიშვნელოვანია, მომავალი ავიასპეციალისტების ცნობიერების ამაღლების და თანამედროვე, შრომის ბაზარის მოთხოვნებთან შესაბამის პრაქტიკული ცოდნის მიღების თვალსაზრისით. 2021 წელს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სასწავლო დაწესებულების ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა სააგენტოში პროფესიული პრაქტიკა გაიარეს. ორ კვირიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის პროგრამის მაგისტრანტები გაეცნენ სააგენტოს საქმიანობის ყველა მიმართულებას, უწყების ორგანიზაციულ მოწყობას და სტრუქტურული ერთეულების ყოველდღიური მუშაობის სპეციფიკას.

2022 წელს, დაიგეგმა ერთიანი პროფესიული პრაქტიკის ჩატარება სააგენტოში, საავიაციო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი მაღალი აკადემიური მოსწრების, საინჟინრო და ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.



სოციალური პასუხისმგებლობა

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლიდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2021 წლის განმავლობაში, თანამშრომლების პირადი შემოწირულობებით ფონდისთვის 5 255 ლარის მობილიზება მოხერხდა;
- საახალწლოდ სააგენტომ ჩაატარა საქველმოქმედო აქცია, რომლის ფარგლებშიც, თანამშრომელთა პირადი შემოწირულობებით მატერიალური დახმარება გაეწია ორ ოჯახს.



დაგეგმილი აქტივობები:

2022-23 წლებში, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, იგეგმება შემდეგი ძირითადი აქტივობების განხორციელება

- საჰაერო ხომალდის ვარგისობის შენარჩუნების, ტექ. მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების, შესაბამისი სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების და ტექ. პერსონალის მოწმობის გაცემის პროცესის ევროპულ მოდელზე გადასვლა;
- სპეციალიზირებული და საერთო დანიშნულების ავიაციის რეგულირება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- სხ-ის ეკიპაჟის წევრების მიმართ ევროპული სტანდარტების ეტაპობრივი გავრცელება;
- დაბრკობებათა კონტროლის, რეგულირების პროცესის დახვეწა აეროდრომის დაცვის არეში;
- ნახშირორჟანგის კომპენსირებისა და შემცირების სქემის (CORSIA) ეტაპობრივი დანერგვა;
- გარკვეული ავიასპეციალისტების თეორიული გამოცდების სააგენტოში ჩატარება;
- კომერციული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოთხოვნების სრულყოფა და ინდუსტრიისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შემუშავება;
- ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების და ავიასაწარმოების ზედამხედველობის პროცესის ავტომატიზაცია;
- ეკიპაჟის წევრების მიმართ ალკოჰოლური სიმთვრალის შემოწმება ალკოტესტის მეშვეობით.

საქმიანობის ანგარიში 2021 წელი

